საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №69/ნ

2019 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^3 მუხლის პირველი პუნქტის, 24^4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

გ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“ ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 1^1

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სრულყოფილად შევსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის (შემდგომში – თვითშეფასების ანგარიში) ფორმა წარდგენილ უნდა იქნეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი).

2. თვითშეფასების ანგარიშის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 2

დადგინდეს 2018 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით ავტორიზებულ/აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგი ეტაპები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (მათ შორის, ამ ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში და შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას), გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა – არაუგვიანეს 2020 წლის 30 სექტემბერი;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (მათ შორის, ამ ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომლებიც აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ

ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში/რომლებიც უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში და შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას), გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა - ამ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თვითშეფასების წარდგენის ვადები;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, და ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში – შესაბამისი საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადის ცენტრში დარეგისტრირების თარიღი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება.

მუხლი 4

1. ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, და ასევე, ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას.

2. ამ ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც უწყვეტად განხორციელების მიზნით, აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

მუხლი 5

ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დასრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად ჩაითვალოს ამ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შედეგად, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად მინიჭებული კვალიფიკაცია.

მუხლი 6

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ბატიაშვილი**
სპორტის მინისტრი

დანართი 3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 19.03.2020 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები

თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა	სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფერო კოდის მიხედვით
2020 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0511, 0512, 0531, 0532, 0533, 0541, 0542, 0588
	0911, 0912, 0913, 0915, 0916, 0919, 0923
2021 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0214, 0288
	0221; 0223
	0311
	0312
	0421
2022 წ.30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0611, 0612, 0613, 0619
	0711, 0712, 0713, 0714, 0715, 0716, 0719, 0722, 0723, 0724, 0731, 0732, 0739, 0788
2023 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0411, 0412, 0413, 0414,
	0521, 0522,
2024 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0222
	0313, 0314, 0319, 0321, 0322, 0388
	0811, 0812, 0821, 0841, 0888

	1014, 1015, 1019, 1022, 1031, 1032, 1041
2025 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	0111, 0112, 0113, 0114,
	0211, 0212, 0213, 0215,
	0231 (მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) 0232, 0239
	0721